ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ა ნ გ ა რ ი შ ი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ორი კვარტლის შემოსულობების მიმდინარე დაზუსტებული გეგმა განსაზრვრული იყო 14 142 795 ლარის ოდენობით, ფაქტიურმა შემოსულობამ კი შეადგინა 15 784 183 ლარი გეგმის შესრულება განისაზღვრა **111.61 %**-ით. *(თუ შევადარებთ გასული 2021 წლის ანალოგიურ ფაქტიურ მაჩვენებელს მიმდინარე წელს 3 517 034 ლარით მეტია შემოსული).*

გადასახადების გეგმა განსაზრვრული იყო 8 997 654 ლარი, ფაქტიურად შესრულებულია 10 031 737 ლარი ანუ 111,49%-ი, დამატებული ღირებულების გადასახადი ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 4 886 779 ლარს, ფაქტიურმა შემოსულობამ კი შეადგინა 5 909 844 ლარი ანუ 120,94 %. ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 3376623ლარს, ფაქტიურად მიღებულია 3298995 ლარი ანუ 97,43 %.

განვიხილოთ შემოსავლები სახეების მიხედვით - ქონების გადასახადის ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 4121893 ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4121893 ლარი ანუ 100,27,%-ი. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გეგმა განსაზღვრული იყო 22950 ლარი, შესრულებამ შეადგინა 22136 ლარი ანუ 96,45 %. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გეგმა განსაზღვრული იყო 50 060 ლარი, ფაქტი 48069 ლარი ანუ 96,02 %.

სხვა შემოსავლების 2022 წლის ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 969 514 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 1 737 135 ლარი, ანუ **179,18 %.** მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 77000 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 64909 ლარი ანუ 84,30%
- შემოსავალი ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახადები გეგმა შეადგენდა 439 708 ლარს, შესრულებამ შეადგინა 1 150 905 ლარი. იხილეთ დანართი #1.

2022 წლის ხარჯვითი ნაწილის ორი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 14142795 ლარს, ფაქტიურად საკასო შესრულებამ შეადგინა 12853988 ლარი გეგმა შესრულდა 90,88 % -ით.

(თუ შევადარებთ გასული 2021 წლის ანალოგიურ ფაქტიურ მაჩვენებელს რომელიც შეადგენდა 83,63%-ს, მიმდინარე წელს 7,25% მეტია შესრულების ხარჯვითი ნაწილი რაც თანხობრივად შეადგენს 3 329 921 ლარს). იხილეთ დანართი #2.

ორი კვარტლის მდგომარეობით კაპიტალურ პროექტებზე ხელშეკრულება გაფორმებულია 26-სხვადასხვა სახის სირთულის და შინაარსის სამშენებლო სამუშაოების ტენდერებზე რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 10 052 986 ლარს, დასრულებულია 6-ხელშეკრულება ღირებულებით 474 288 ლარი მათ შორის: 16 ლოკაციაზე ფერდსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები, ხოლო გამოცხადებელია 2-პროექტი მათ შორის:სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში სოფელ თხილნარის ცენტრში ატრაქციონის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა ღირებულებით 19 893 ლარი და მოსაცდელების მოწყობა 50 000 ლარი.

მათ შორის დარგობრივად ხარჯები:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 1916643 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 1 742 542 ლარი, შესრულება - 90,91 %-ი.

სარეზერვო ფონდის ხარჯვით ნაწილმა პირველ კვარტალში შეადგინა 182 539 ლარი. სულ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტის მასშტაბით 350-ოჯახს მათ შორის:

1) სტიქიური მოვლენების ძლიერი ქარისა და დიდ თოვლობის შედეგად დაზარალებულ 70-ოჯახს გაეწია დახმარება 50880 ლარის ოდენობით,

2) მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 280-ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება 117 756 ლარის ოდენობით.

3) უკრაინაში მიმდინარე საომარ მოვლენებთან დაკავშირებით დაზარალებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით 10000 ლარი.

4) სოფელ მახვილაურში და ახალშენში მცხოვრები მოსახლეობის დახმარებისთვის, ჭაბურღილზე არსებული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვის მიზნით–3903ლარი. -ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სტიქიის შედეგად დაზარალებულ 4 ოჯახს გამოეყო 49045 ლარი. იხილეთ დანართი N3 და N3/1

ეკონომიკური საქმიანობა ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 1 020 746 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 1 014 523ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 99,39 %, აღსანიშნავია შეშის ჩანაცვლება ბრიკეტით და თხილის ნაჭუჭის ენერგოეფექტური ღუმელის დანერგვის პროგრამა აღნიშნული პროგრამით 375 –მა კომლა ისარგებლა.

-გარემოს დაცვა

ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 792 602 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შეადგინა 698 072 ლარი შესრულებულია 88,07 %,

საბინაო კომუნალური მეურნეობა

-ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 3 079 358 ლარს, საკასო შესრულება კი 2 658 464 ლარი გეგმის შესრულება 87,2 %-ით მათ შორის;

წყალმომარაგების ღონისიებებზე ორი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 2 085 797ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 911 279 ლარი გეგმის შესრულება 91,63%.

-გარე განათებაზე ორი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 275 000 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 249 027 ლარი გეგმის შესრულება 90,55%.: მათ შორის ელექტრო ენერგიის მოხმარებული ღირებულების ხარჯმა შეადგინა 127349ლარი, ხოლო მოსახურებაზე გაწეულმა ხარჯმა კი 121678 ლარი.

-ჯანდაცვის სფეროში

ჯანდაცვის სფეროში არის 10-(ათი) მიზნობრივი პროგრამა რომლითაც ისარგებლა 1569 ბენეფიციარმა, აღნიშნული პროგრამების ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 655 719 ლარს, ფაქტიურ შესრულებამ შედგინა 52 020 ლარი, ანუ 79,76%.

დასვენება კულტურა და რელიგიის სფეროში

- ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 802 028 ლარს, საკასო შესრულება კი 743 771 ლარი ანუ 92,73%, მათ შორის:
- მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 284 151ლარს, საკასო შესრულება კი 238 800 ლარს ანუ 84,03%: მათ შორის: მომსახურება კულტურისა სფეროში გეგმა შეადგენდა 507 227ლარს, საკასო შესრულება კი 494 355 ლარს, ანუ 97,46%.

განათლების სფეროში

- ორი კვარტლის გეგმა შეადგენდა 3 540 660ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 189 990 ლარი 90,09%, მათ შორის:
- სკოლამდელი აღზრდა - გეგმა შეადგენდა 2620600 ლარს, ფაქტიური შესრულება კი 2 316 563 ლარს ანუ გეგმა შესრულებულია 88,39%-ით,

- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში გეგმა შეადგენდა 865040 ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 829 658 ლარი. ანუ გეგმა შესრულებულია 95,90 %.
- **სოციალური დაცვის სფეროში** არის 9-(ცხრა) მიზნობრივი პროგრამა რომლითაც ისარგებლა 355 ბენეფიციარმა, აღნიშნულ პროგრამებზე ორი კვარტლის გეგმით გათვალისწინებული იყო 2 290 273ლარი, ფაქტიურ საკასო შესრულებამ შეადგინა 2 224 605 ლარი, ანუ 97,13%, მათ შორის:
- სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას (უფასო სასადილოები) –გეგმა შეადგენს 65 244 ლარს, საკასო შესრულება კი – 34 320 ლარი ანუ 7,7,6%.
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში გეგმა შეადგენდა 225 029 ლარს, შესრულება კი 2 190 285 ლარს, ანუ 98,43%.

ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 1 606 364 ლარს ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 4 536 559 ლარი. ხოლო რაც შეეხება აღნიშნულ პროცენტულ მაჩვენებელს 90,88% რომელიც შესრულებულია ორი კვარტლის მდგომარეობით დადებითია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა დიასამიძე

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაშიძე